აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№64 (24.944) ხუთშაბათი, 23 - 24 ივნისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 12-17 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

რატომ უთხრა ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარი?

პარლამენტის პლენარული სხდომა, რომელზეც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დეპუტატებს სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშს აცნობდა, ხმაურით დაიწყო. ვნებათაღელვა გამოსვლის დასაწყისს მოჰყვა, რომლის დროსაც პრემიერმა აღნიშნა, რომ ევროკომისიამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო და გაჩნდა ნანატრი ჩანაწერი. მის ამ ფრაზას ოპოზიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძემ ღარიბაშვილს რამდენჯერმე უწოდა „მოღალატე“ და „მონა“. მას არც ანა წითლიძე ჩამორჩა. პრემიერ-მინისტრს ოპოზიციის წარმომადგენლებმა რამდენიმე წუთის განმავლობაში არ მისცეს სიტყვის გაგრძელების საშუალება, რის გამოც პარლამენტის თავმჯდომარისგან გაფრთხილება მიიღეს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, არსებობდა მოლოდინი, რომ საქართველოც მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, როგორც უკრაინა და მოლდოვა, თუმცა... მისი თქმით, ხელისუფლებამ

ყველაფერი გააკეთა, მიუხედავად იმ მძიმე მემკვიდრეობისა, რომელიც მას დახვდა:

„ავტორიტარული რეჟიმი, სადაც ადამიანებს კლავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ბიზნესს ართმევდნენ. ასეთი მემკვიდრეობა ჩავიბარეთ ჩვენ, სადაც არავითარი ნიშანწყალი დემოკრატიისა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისა არ არსებობდა. ეს მემკვიდრეობა დაგვიტოვეთ თქვენ, ძვირფასო ბატონებო.“

პრემიერის თქმით, მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ ამ ე.წ. ასოცირებულ ტრიოში უპირობო ლიდერები ვართ, რასაც გლობალური და ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები ცხადყოფს:

„ეს არის ჩვენი 10-წლიანი მუშაობის შედეგი გამოხატული კონკრეტული რეიტინგების მიხედვით, რომელიც შეადგინა მსოფლიო ბანკმა, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ და სხვა ორგანიზაციებმა. ყველას გვქონდა მოლოდინი, რომ თუ ვინმე იმსახურებდა ასოცირებული ტრიოდან არა ემოციებისა და აღქმების დონეზე, არამედ გაკეთებული საქმის მიხედვით სტატუსს, ეს ჩვენ ვიყავით. მოვისმინე ევროპელი მეგობრებისგან, რომ მათი მთავარი მოტივაცია იქნებოდა სწორედ დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიხილეთ. ეს ძალიან გულდასაწყვეტია ჩემთვის, ჩვენთვის და ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, არ სურდა და არ სურს, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. როგორც მან აღნიშნა, „ლელოს“ პოლიტიკური მდივანი სალომე სამადაშვილი, პირადად დადიოდა ბრიუსელში და ითხოვდა, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიეღო.

„ეს ადამიანები, ვინც აქ არიან წარმოდგენილი, მათი დიდი ნაწილი, დადიოდა ევროკავშირში, ევროპარლამენტში. ამას პირდაპირ ჩვენი ევროპელი კოლეგები მიყვებიან, მავნებლურად, მტრულად ექცეოდნენ ქვეყანას... ქალბატონი სალომე სამადაშვილი პირადად დადიოდა ბრიუსელში და ითხოვდა, რომ კანდიდატის სტატუსი არ მისცეთო. იცნობდეთ ქვეყნის მოღალატეს“,– განაცხადა პრემიერმა, რასაც სამადაშვილი რეპლიკით გამოეხმაურა და პრემიერს „უსინდისო, ცრუპენტელა და მატყუარა“ უწოდა.

„რა არის ტყუილი? ტყუილი არის თქვენი ყველა სიტყვა, რასაც თქვენ თქვენს მოქალაქეებს ელაპარაკებით. მე სიმართლეს ველაპარაკები, თქვენგან განსხვავებით. ახლა მოდი, შეკითხვა დავუსვათ ამ ადამიანებს, „ევროპის სახალხო პარტია“ რომელი პარტიაა, ხომ არ შემახსენებთ, ქალბატონო ხატია (დეკანოიძე). ეს არის თქვენი მთავარი პარტნიორი პარტია. „ევროპის სახალხო პარტიამ“ მათი რეკომენდაციებით მოამზადა ყველაზე სამარცხვინო ტექსტი, უსამართლობის ზეიმი, ეს იყო პირდაპირ მხილება და მტკიცებულება იმისა, რომ ამ ადამიანებს არ სურდათ, საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეღო. „ნაციონალურ მოძრაობას“ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, არ სურდა და არ სურს, რომ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს. ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. ფაქტებზე დამყარებულ ინფორმაციებს ვუზიარებ ჩვენს მოქალაქეებს.

იხ. 33-7 33.

კრიალოსანი

ევროკომისიამ 17 ივნისს მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, კერძოდ, ყველასთვის ნანატრი ჩანაწერი გაჩნდა ოფიციალურ დოკუმენტში, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენისას. ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, არსებობდა მოლოდინი, რომ საქართველოც მიიღებდა კანდიდატის სტატუსს. „ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა მიუხედავად იმ მძიმე მემკვიდრეობისა, რომელიც დაგვხვდა“, - განაცხადა პრემიერმა.

* * *

მმართველ გუნდს ევროკომისიის დოკუმენტში წარმოდგენილ 12 რეკომენდაციაზე მუშაობა უკ-

ვე დაწყებული აქვს, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. „არის 12 რეკომენდაცია. ჩვენ ამაზე გამოვხატეთ მზადყოფნა - ასოცირების ხელშეკრულებაში იყო შეტანილი თითქმის ყველა პუნქტი, ეს იყო შეჯერებული ჩვენსა და ევროკავშირს შორის. ჩვენ არა მხოლოდ მზად ვართ ეს პუნქტები შევასრულოთ, არამედ მთელ რიგ პუნქტებზე დაწყებული გვაქვს მუშაობა“, - აღნიშნა კობახიძემ.

* * *

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის ახალ რეკომენდაციას გამოეხმაურა. მისი თქმით, ზედმიწევნით შესრულებულ თავისივე რეკომენდაციასთან მიმართებით, ვენეციის კომისია დღეს უკვე განსხვავებულ მოსაზრებას აფიქსირებს. „ჩვენ მზად ვართ როგორც ამ უცნაურ რეკომენდაციასთან, ასევე, ზოგადად, წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მსჯელობა გავაგრძელოთ ვენეციის კომისიასთან“. - აღნიშნა მან.

* * *

აშშ-ის საელჩო 20 ივნისს თბილისში გამართულ აქციას გამოეხმაურა. „შეერთებული შტატები საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერას განაგრძობს. ჩვენ ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართ და გპირდებით, რომ ვიქნებით თქვენი პარტნიორი აუცილებელი რეფორმების განხორციელებაში“, - წერია საელჩოს განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნები დასრულებულია

2

«როგორც მთის შვილი და, ამასთან, ექიმი, ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ»

4

საქართველო - ევროკავშირის ვერდიქტის მოლოდინში

3

«პოპულარობის მიღწევა მარტივია, რთულია შენარჩუნება»

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

კვარიათში საბავშვო მოედანი მოეწყობა

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად, გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო

პროექტის ფარგლებში, ანდრია პირველწოდებულის IX ჩიხში მოეწყობა სპორტული მოედანი, საბავშვო ატრაქციონი და ტრენაჟორები. სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება. პროექტის ღირებულება 300 ათასამდე ლარს შეადგენს.

- კვარიათში, ზღვისპირა ზოლში ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დავიწყეთ. წლების განმავლობაში ეს ადგილი იყო უსახური და მოუწესრიგებელი. ჩვენ შევხვდით მოსახლეობას. მათ გვთხოვეს, შეგვექმნა ბავშვებისთვის სივრცე, სადაც შეძლებდნენ დასვენებას, გართობას, დაკავდებოდნენ ჯანსაღი ცხოვრების წესით. შევპირდით, რომ ამ საკითხს მოვაგვარებდით. ახლა სამუშაოები საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. უახლოეს პერიოდში ამ ტერიტორიას ახალი სპორტული მოედანი, ბავშვთა ატრაქციონები და ტრენაჟორები შეემატება. პროექტის დასრულების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ბავშვები კმაყოფილები დარჩებიან, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ანკა ჩხიკვაძე

„შინ, ევროპისკენ“

ზიჭრია დავლაძე 579 25 25 72

20 ივნისს თბილისის პარალელურად ბათუმში მშვიდობიანი აქცია „შინ, ევროპისკენ“ გაიმართა, რომლის ორგანიზატორებიც სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ

- საქართველოს უნდა ევროპა, საქართველოს უნდა არა მხოლოდ ევროპული პერსპექტივა, არამედ კანდიდატის სტატუსი, რადგან ამ სტატუსს მოაქვს ბევრი სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის. შეუძლებელია, ადამიანს, რომელსაც თავისი ქვეყნისთვის კარგი უნდა, არ სურდეს ევროკავშირში გაერთიანება. ამიტომ „შინ ევროპისკენ“, „წინ ევროპისკენ“ არის მიზანი და აუცილებლად მივაღწევთ ამას. ჯერჯერობით ამ აქციით შემოვიფარგლებით და შემდეგ დრო გვაჩვენებს, როგორ მოვიქცეთ, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ჭკადუამ. სამოქალაქო აქტივისტმა თომა კაკაბაძემ კი გვითხრა: - საზოგადოება ერთიანია და ირჩევს ევროპულ გზას. გარდაუვალია ევროკავშირში გაერთიანება. არ უნდა გვჭირდებოდეს აქედან ევროპაში გაქცევა, რათა მივიღოთ უკეთესი განათლება. ჩვენ გვინდა, რომ ევროპის ნაწილი ვიყოთ. უნდა გვქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ აქედან არ წავიდნენ ემიგრაციაში.

აქციას შეუერთდნენ სტუდენტები, ჟურნალისტები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ასევე ბათუმში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის ბელორუსები და უკრაინელები.

- ჩვენ ხელისუფლებას კი არ ვაწვდენთ ხმას, არამედ ევროპას, რადგან ხელისუფლებას არ ესმის, რა მნიშვნელოვანი ამბავი ხდება. ხელისუფლების ქილიკი და უარყოფით კონტექსტში ამის წარმოჩენა სამარცხვინოა. ადამიანები, რომლებიც იმას ამბობენ, რომ ეს ნაცების ორგანიზებულია, არ არიან მართალნი. მინდა ვკითხო მათ, თუ ასე ქილიკობენ, რატომ უშვებენ ევროპაში შვილებს, გაუშვან რუსეთში, მაგრამ არა - უნდათ უფრო წარმატებულები იყვნენ. ეს ჩვენც გვინდა, საზოგადოება იყოს წარმატებული და ქვეყანაც გახდება წარმატებული. აქ ქვეყნის ინტერესია და არა ერთი პირის ქონებრივი ინტერესი, - ამბობს გაზეთ „აჭარასთან“ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის ხელმძღვანელი ასლან ჭანიძე.

- მე ვარ ბელარუსი და ვფიქრობ, რომ ქართველი ერი იმსახურებს ევროპული ოჯახის წევრობას, საქართველოს გაუმარჯოს! - ამ შეძახილებით გამოვიდნენ ბელარუსის მოქალაქეები აქციაზე, რომელიც 26 მაისის პარკის კოლონადებთან დაიწყო და შემდეგ ევროპის მოედნისკენ გადაინაცვლა. ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდა და სიტყვითაც გამოვიდა სამოქალაქო აქტივისტი ირმა კოტორეიშვილი, რომელმაც ბათუმელებს სრულიად საქართველოს აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

- ერს, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ შექმნა, გადაშენება უწერია?! გვაქვს ასეთი მოცემულობა, რომ საქართველოს ბოლო დამპყრობელი არის რუსეთი, ჰოდა, დამპყრობელს და ოკუპანტს აქვს ვერაგული გეგმა, ის ჩვენივე ქართველით გვიპირისპირდება. მე მინდა მივმართო ტვინგამორეცხილ, დაზომბირებულ ქართველებს: - აქ არის საქართველო - აქ არის ევროპა. ძაღლის ენას უწოდებდა რუსეთი ქართულ ენას. ენა გვაქვს, სარწმუნოება, მამული, მეტი რაღა გვინდა. თუ ერთიანები ვიქნებით, გადავრჩებით. ახლა რომ გვაქვს, ასეთი შანსი აღარ გვექნება. რა გვინდა ევროპაში? იქ მშვიდობაა, განვითარებაა. ძალა ერთობაშია, - განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ირმა კოტორეიშვილმა.

როგორც ცნობილია, თბილისში გამართულ აქციაზე მოძრაობა „სირცხვილიამ“ დაანონსა ახალი სახალხო მოძრაობის დაფუძნება, რომლის მიზანი საქართველოს ევროპული არჩევანის დაცვა იქნება. აქვე ცნობილი გახდა, რომ შემდეგი აქცია 24 ივნისს გაიმართება.

სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნები დასრულებულია

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდა. მშობელთა აქტივობა ბათუმში, დაახლოებით, 28%, ქობულეთში კი 40% იყო. რაც შეეხება პედagogებს, კენჭისყრაზე მათი უმრავლესობა გამოცხადდა. მე-2 ტური იქნება ქობულეთის სოფელ საჩინოში, სადაც მასწავლებელთა ხმები თანაბრად გაიყო

სოფო მიქელაძე, მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:

- ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი მონაწილეობა ამ არჩევნებში, რადგან ვთვლი, რომ სწორედ ჩვენს ხელშია ჩვენი შვილების უკეთესი მომავალი. მე ხმა მივეცი იმ კანდიდატს, რომელიც თამამად იტყვის ჩვენს, მშობლების სათქმელს და ყველაფერს გააკეთებს მოსწავლეებისა და სკოლის საკეთილდღეოდ.

მარიამ ბერიძე, მე-20 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:

- უდიდესი მოლოდინი მაქვს ამ საბჭოსგან, რადგან მშობლის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, რა თქმა უნდა, სკოლისთვის.

ნინო ფუტკარაძე, მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:

- მე აქ მოვედი იმისათვის, რომ დავაფიქსირო ჩემი ხმა, ჩემი არჩევანი. სამწუხაროა, როცა ხშირ შემთხვევაში საბჭო პასიურობს, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად იქნება.

ინეზა დავითაძე, მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:

- მზად ვარ, აქტიურად დავაკვირდე საბჭოს მუშაობას. პროფესიით ვარ ეკონომისტი, შესაბამისად, ამ კუთხითაც შევაფასებ მათ. საინტერესო იქნება, თუ რაში დაიხარჯება ფინანსები და რა სარგებელი ექნება ამ ყველაფერს ჩვენი შვილებისა და სკოლისათვის.

ნინო ჭუმბურიძე, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობელი:

- სიმართლე გითხრათ, აქამდეც ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული სკოლის საქმეებში, ახლაც ვაპირებ გავაგრძელო იგივე. ჩემთვის, როგორც თითოეული მშობლისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი შვილი სწავლობდეს თავისუფალ და ისეთ გარემოში, სადაც განვითარდება პიროვნულად, მიიღებს უმაღლეს განათლებას და ჩამოყალიბდება იმ პიროვნებად, რომელიც გამოადგება ჩვენს ქვეყანას.

გოჩა დავითაძე, ბათუმის რესურსცენტრის დირექტორი:

- ფუნქციები საკმაოდ დიდია, თუმცა ხშირ შემთხვევაში სამეურვეო საბჭო პასიურობს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიზრუნოთ მათ გააქტიურებაზე. რა თქმა უნდა, ამ კუთხით უნდა იყოს მათი ნებაც.

სამეურვეო საბჭო სკოლის მმართველი არჩევითი ორგანოა, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია, მათ შორის, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებასა და ხარჯვის კონტროლში, ირჩევს დირექტორს და ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს. სამეურვეო საბჭოს 3 წლის ვადით ირჩევენ. მის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები და მშობლები, თანაბარი რაოდენობით.

ნანი კირკიტაძის სახელობის ტურნირი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ხელვაჩაურის სასპორტო სკოლამ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ძიუდოში გოგონათა შორის. იგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და დაფინანსებით გაიმართა. ასპარეზობაში, ორ ასაკობრივ ჯგუფში და 18 წონით კატეგორიაში, 18 გუნდის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ნანი კირკიტაძე 20 წელზე მეტია ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის, ასევე აჭარის ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლავთ ძიუდოში. აღზრდილი ჰყავს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობა სამბოში, ასევე საქართველოს და აჭარის ჩემპიონატებისა და პირველობების არაერთი გამარჯვებული და პრიზიორი.

ტურნირზე ნანი კირკიტაძის აღსაზრდელებმა ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ცხრა ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს და შესაბამისი ხარისხის სიგელებით და თასებით დაჯილდოვდენენ. ჯილდოები მათ გადასცეს ხელვაჩაურის მერის მოადგილე მირიან კირკიტაძემ, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე გურანდა დოლიძემ, სასპორტო სკოლის დირექტორმა ფარნაოზ თედორაძემ, საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ზოიძემ, კულტურის განყოფილების სპეციალისტმა ნარგიზ ციმნარიძემ.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში პირველი ადგილები დაისაკუთრეს ანანო მამულაძემ და მარიკა ფოთელიძემ, ვერცხლის მედლები მოიპოვეს ანა აბაშიძემ, მარი ველიაძემ, მარი ჭიჭვეიშვილმა, ხოლო ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ ლიკა შარაძე, თაკო მამულაძე, ნია კირკიტაძე, ელენე კირკიტაძე, სალომე კირკიტაძე, ეთერ ვარშანიძე, მარი მახარაძე, ნიტა ლეონიძე და მარიამ წულუკიძე.

30 ივნისს აჭარის ძიუდოისტები თურქეთის ქალაქ იზმითში მიემგზავრებიან, სადაც დიდ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ.

საქართველო – ევროკავშირის ვერდიქტის მოლოდინში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო თავისი გამოწვევებით, ხედვებით და მექანიზმებით. 24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა, რუსეთი ახალი იმპერიის აღდგენას ცდილობს. უკრაინასთან ომი სწორედ ამ გეგმის ნაწილია. დასავლეთი რუსეთის მოთოკვას ცდილობს და არა მხოლოდ ეხმარება უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, არამედ ევროკავშირში მის გასაერთიანებლად ქმედით ნაბიჯებს დგამს

ახლახან ევროკომისიამ სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო - უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე რეკომენდაცია მისცა, ჩვენს ქვეყანას კი 2022 წლის ბოლომდე დაუწესა ვადა პირობების შესრულების თაობაზე, ანუ კანდიდატობის შანსი დაუტოვა. ევროკომისიის დასკვნას პოლიტიკოსებში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა: საქართველოს მმართველი პარტია აცხადებს, რომ საგანგაშო არაფერია, ოპოზიციის ბრალდებები უსაფუძვლოა და საქართველო პროდასავლური კურსის ერთგულია, ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ ევროკომისიამ ხელისუფლებას ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით. ექსპერტები აცხადებენ, რომ ქვეყანა, რომელიც არსებობიდან დღემდე ევროპისკენ მიისწრაფვის, გეოპოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდა, 2008 წელს, როდესაც მაპ-ის გარეშე დავრჩით, რუსეთმა ეს სამოქმედო სიგნალად აღიქვა და ომი დაგვიწყო. თუ სამომავლოდ ევროკავშირმაც უარი გვითხრა, ეს ერთდროულად შიდა და საგარეო პოლიტიკურ კრახს გვიქადის და თან ძალიან გრძელვადიანს.

რა თქმა უნდა, ხელის ჩაქნევა არ შეიძლება, ევროკომისიამ წლის ბოლომდე გარკვეული ვადა მოგვცა ვალდებულებების შესასრულებლად. ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინამ თავისი ბრძოლით, ანუ რუსეთთან შეუპოვარი ომის ხარჯზე დაიმსახურა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა, მოლდოვამ კი რეფორმების გატარების და რუმინეთის მხარდაჭერის ხარჯზე შეძლო ევროკომისიის გულის მოგება. თანაც ეს ქვეყნები ევროპასთან გეოგრაფიულად საქართველოზე ახლოს არიან. ესაზღვრებიან დასავლურ სახელმწიფოებს.

თვალნათელია, რომ ჩვენი ევროპული მომავალი ქართულ პოლიტიკურ სპექტრზეა დამოკიდებული. ევროკავშირის მოთხოვნების უკლებლივ შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი ერის წინაშე ისტორიულ დანაშაულს ჩაიდენენ, რასაც რუსეთი სათავისოდ გამოიყენებს. გადავხედოთ პერიოდს, რომელმაც ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყანა დააზარალა. დასავლეთმა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველო გარკვეულწილად, რუსეთის სფეროდ აღიარა, რის შემდეგაც კრემლმა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა შეძლო და საქართველო დსთ-ში გააერთიანა. მაშინ ჩვენმა ქვეყანამ ათი წელი დაკარგა განვითარების თვალსაზრისით, ახლა კი დრო დაჩქარებულია - წამი ეპოქას ითვლის... ბალტიისპირეთის ქვეყნებმა დრო არ დაკარგეს და ურთიერთკომპრომისის მიღწევა შეძლეს, პოლარიზება დაასრულეს და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანდნენ. ამერიკის საელჩომ საქართველოში წინა საუკუნის 91-92 წლის მოვლენები რუსეთის აგრესიად მოგვიანებით შეაფასა. ეს დროულად რომ მომხდარიყო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გამსახურდია და დუდაევი აფრთხილებდნენ დასავლეთს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, ცხადია, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა, მაგრამ მაშინ ევროპისთვის ელცინის რუსეთი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კავკასიელი ლიდერები. ანალოგიური შეცდომა დასავლეთმა 2007 წელსაც დაუშვა, როდესაც საქართველოს და უკრაინას ნატოს სამიტზე მაპ-ი არ მიანიჭა. ამას მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი, მერე - ყირიმის ანექსია და ახლა უკვე რუსეთი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს უკრაინაში.

რა მოხდება ევროკავშირის მოახლოებულ სამიტზე, ძნელი სათქმელია, თუმცა იმის თქმა შეიძლება, რომ ევროკავშირი კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის არჩევანს დასავლურ კურსთან მიმართებაში, ასევე მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები საქართველოს წინაშე. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებაზე უნდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება: ევროკავშირსა და ნატოში რომც არ მიგვიღონ უახლეს მომავალში, ამით არც არაფერი დაშავება, თუ ჩვენ რეფორმებს გავაგრძელებთ და დემოკრატიის პროცესი შეუქცევადი გახდება, თუ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ევროპული ყაიდის სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდებით, ამით, უპირველესად, ჩვენი მოსახლეობა იხეირებს. მიმოვიხედოთ გარშემო რა ხდება, ვის მივბაძოთ - ახლო აღმოსავლეთს, რუსეთს, თუ ევროპას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც თითოეული ქვეყნის სუვერენიტეტს იცავენ და ამავე დროს ადამიანის უფლებების დაცვაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილია?! მგონი, აქ არჩევანის გაკეთება არცთუ ძნელია. ევროპას შეიძლება ბევრი ნაკლი ვუპოვოთ, მაგრამ ევროპული სახელმწიფო ძალიან გამართული, ძლიერია, რასაც ცხადყოფს ბალტიისპირეთის ქვეყნების მზარდი ეკონომიკური მაჩვენებელი და განვითარება, რომ არაფერი ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების წარმატებაზე, რუსეთში კი რაც ხდება, საყოველთაოდ ცნობილია. ეს ქვეყანა არათუ სხვისი, თავისი მოქალაქეების უფლებებსაც ფეხქვეშ თელავს. აქ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენად ვაკმაყოფილებთ დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს?

როგორც არაერთხელ გვითქვამს, დემოკრატიის დამკვიდრება ცოცხალი პროცესია და არ შეიძლება ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯის გადადგმისთანავე, ვთქვათ, რომ დემოკრატიის ხარისხს ვაკმაყოფილებთ. ჯერ კიდევ შორს ვართ სრულყოფილ დემოკრატიამდე და აქამდე ძალიან მნიშვნელოვანი გზაა გასავლელი. ევროკავშირი რეკომენდაციებით გვეხმარება ამ გზის გავლაში. ეტაპობრივად იმიტომ გვაწვდის რეფორმებისთვის რეკომენდაციებს, რომ ერთბაშად სახელმწიფოს სრულად რეფორმირება შეუძლებელია და ამას არ გვთხოვს. ამას შესაბამის ფინანსური, საკადრო და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა სჭირდება და ევროკავშირიც თანდათან გვაძლევს რეკომენდაციებს, თუ რომელ სფეროში უნდა დავაჩქაროთ რეფორმები ევროკავშირის სტანდარტებთან მისაახლოებლად. ევროკომისიის ამასწინანდელი რეკომენდაციის გათვალისწინებით, ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში რეფორმირების პროცესი (დემოკრატიის თვალსაზრისით) შეუქცევად ხასიათს მიიღებს. მათი თქმით, ევროკავშირის ყველა მნიშვნელოვანი ვალდებულება უნდა დავაკმა-ყოფილოთ, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აქილევსის ქუსლად დარჩება სეპარატისტული რეგიონები, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ჩვენ შეიძლება ევროკავშირის ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობა, ჯერჯერობით მაინც დარჩება ხელისშემშლელ ფაქტორად ევროკავშირის გაერთიანების თვალსაზრისით, რადგან ეს ფაქტორი ქვეყანას არასტაბილურობის იმიჯს უქმნის დასავლელი პარტნიორების თვალში, ამიტომ ხელისუფლების ძალისხმევასთან ერთად, საჭიროა ევროპელი პარტნიორებიც დაგვეხმარონ, რათა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში გარკვეული პროგრესი გვქონდეს, რათა ვთქვათ, რომ დასავლეთი არა მხოლოდ დემოკრატიის განმტკიცების კუთხით გვეხმარება, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივაც დგამს ნაბიჯებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან ჩვენი დაახლოება კიდევ უფრო შეუქცევადი გახდეს. ცხადია, რუსეთი ამ მხრივ ჩვენთვის ხელისშეშლას ცდილობს. ანტიდასავლური ძალები აცხადებენ, მორიგი აგრესია რომ არ განმეორდეს, საქართველომ აჯობებს ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. ეს რუსული დისკურსი ამ ბოლო დროს ხშირად ისმის და შესაძლოა კიდევ უფრო გაპიარდეს, თუ წლის ბოლოსაც ევროკავშირმა ზურგი გვაქცია, ანუ თუ არ მოგვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს. ამიტომ კარგი იქნება ხელისუფლებამ მეტად გააპიაროს დასავლური კურსი. გარდა ამისა, ხელისუფლებას შეუძლია, კანონით აკრძალოს ის პრორუსული ორგანიზაციები, რომლებიც ანტიდასავლურ დისკურსს აღვივებენ... მათგან ხშირად ისმის, რომ თუ ვიქნებით ნეიტრალურები, რუსეთი საშუალებას მოგვცემს დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ ასე არ მოხდება, რადგან კრემლს არ სჭირდება ერთიანი, ძლიერი საქართველო. ის „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებს. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადებას მაშინ აქვს ძალა, თუ მას აღიარებენ მეზობელი სახელმწიფოები, რომლებიც ამასთანავე, მოცემული ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტორებს წარმოადგენენ. რუსეთი ვერ გახდება ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტის გარანტორი, ვინაიდან მას ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები.

ახლა საშინაო პოლიტიკას დავუბრუნდეთ: გარკვეული პრობლემების მიუხედავად, საქართველო დემოკრატიის თვალსაზრისით რეგიონში არცისე ცუდ მდგომარეობაშია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, 31 წლის განმავლობაში, ქვეყანას მეოთხე მმართველი პარტია ჰყავს. ხელისუფლება 2012 წელს არჩევნების გზით შეიცვალა (მანამდე რევოლუციური გზით იცვლებოდა), საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მოდელზე გადავედით, თუმცა ჩვენი ძირითადი პრობლემა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რა თქმა უნდა, უმთავრესი გამოწვევაა ქვეყნისთვის, ასევე - არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. სამწუხაროდ, ამ 31 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეძლო მწყობრი, განვითარებული სახელმწიფოს შექმნა, ანუ ჩვენ გვქონდა საპრეზიდენტო, სუპერსაპრეზიდენტო მოდელი, ახლა გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკა და ამ პერიოდის განმავლობაში ვერ შევძელით თუნდაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკის დონეზე განვითარება, მეტი დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრება. სამწუხაროდ, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ცდილობს ხელისუფლებაში მოვიდეს საკონსტიტუციო უმრავლესობით, არადა მრავალპარტიული თანაცხოვრება ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამის რესურსი ნამდვილად არის ქვეყანაში, სწორედ ამ და სხვა რესურსების გამოუყენებლობის გამოც ხელისუფლებამ ევროკომისიისგან შენიშვნები მიიღო. საქართველოს წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რასაც დასავლეთის ქვეყნები ახორციელებენ, ანუ ესაა - დემოკრატიული სტანდარტების დანერგვა, ადამიანის უფლებების ყოველმხრივ დაცვა, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა და კანონის უზენაესობა, ცხადია, ზოგიერთი რეფორმა მტკივნეული იქნება, მაგრამ მათი შესრულება, როგორც ვთქვით, საქართველოს გადააქცევს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ. თუ ვიქნებით დასავლური პრინციპების ერთგული სახელმწიფო, მაშინ საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა შეუქცევადი გახდება.

ანტიდასავლური ძალები აცხადებენ, მორიგი აგრესია რომ არ განმეორდეს, საქართველომ აჯობებს ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. ეს რუსული დისკურსი ამ ბოლო დროს ხშირად ისმის და შესაძლოა კიდევ უფრო გაპიარდეს, თუ წლის ბოლოსაც ევროკავშირმა ზურგი გვაქცია, ანუ თუ არ მოგვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს. ამიტომ კარგი იქნება ხელისუფლებამ მეტად გააპიაროს დასავლური კურსი. გარდა ამისა, ხელისუფლებას შეუძლია, კანონით აკრძალოს ის პრორუსული ორგანიზაციები, რომლებიც ანტიდასავლურ დისკურსს აღვივებენ...

უცხოეთი

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 23-24 ივნისს გასამართი ევროკავშირის სამიტის წინ, კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე საერთო პოზიცია დააფიქსირეს. ამის შესახებ საფრანგეთის

საგარეო საქმეთა მინისტრმა კლემენტ ბონმა ევროკავშირის საერთო საქმეთა საბჭოს შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს იმ საკითხებში, რომლებიც დილიდან განიხილებოდა - კერძოდ, მზადება ევროკომისიის შეხვედრისთვის, რომელიც ამ თვის ბოლოს ბრიუსელში გაიმართება. ეს ეხება, კერძოდ, უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას“, - განაცხადა ბონმა.

* * *

ევროპა აშშ-ის დახმარების გარეშე თავის დაცვას ვერ შეძლებს, - განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზბიგნევ რაუმ ვარშავაში, ელჩების შეხვედრაზე. მისი თქმით, ევროკავშირმა უნდა განავითაროს თანამეგობრობის წევრი ქვეყნების თავდაცვის პოტენციალი, მაგრამ ეს არ შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე კონკურენციას შეერთებულ შტატებთან პარტნიორობისთვის. „შეერთებულმა შტატებმა განათავსა მეტი ძალები პოლონეთში, რამაც, უკრაინის ომის კონტექსტში, გააძლიერა რუსეთის შეკავება ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის ქვეყნების ამ კრიზისში ჩაბმის მცდელობებისგან“, - განაცხადა რაუმ.

* * *

ლიეტუვის რკინიგზამ 18 ივნისს კალინინგრადისკენ რუსეთის იმ ტვირთების გატარება შეწყვიტა, რომლებზეც ევროკავშირის სანქციები ვრცელდება. აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთი იტოვებს უფლებას, მიიღოს ზომები ეროვნული ინტერესების დასაცავად, თუ ლიეტუვა უახლოეს მომავალში სრულად არ განაახლებს ტვირთების ტრანზიტს კალინინგრადის ოლქისკენ. ფაქტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ნედ პრაისი გამოეხმაურა. შეკითხვაზე, დაუჭერს თუ არა ლიეტუვას მხარს რუსეთის მხრიდან რაიმე საფრთხის შემთხვევაში, პრაისმა აღნიშნა, რომ ლიეტუვა ნატოს წევრია და მხარს უჭერენ ალიანსის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის, ვალდებულებას მე-5 მუხლის მიმართ, რომელიც ნატოს ალიანსის საფუძველია.

* * *

ავღანეთში მომხდარ ძლიერ მიწისძვრას მინიმუმ 920 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, - ამის შესახებ „თალიბანის“ ლიდერის მოადგილემ კატასტროფების მართვის საკითხებში, შარაფუდინ მუსლიმმა განაცხადა. მისივე თქმით, დაშავდა კიდევ 600 ადამიანი. მიწისძვრის შედეგად ასობით სახლი დაინგრა და დაღუპულთა რიცხვი, სავარაუდოდ, გაიზრდება. მიწისძვრა სამხრეთ-აღმოსავლეთ ქალაქ ხოსტიდან დაახლოებით 44 კილომეტრში, ადგილობრივი დროით 01:30 საათზე მოხდა, როდესაც ადამიანების უმრავლესობას ეძინა. სეისმოლოგების ცნობით, მიწისძვრის სიმძლავრე 6.1 მაგნიტუდა იყო.

მოამზადა
ია შველიძემ

„როგორც მთის შვილი და, ამასთან, ექიმი, ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სხალთის ხეობაში ექიმების ნაკლებობას ყოველთვის განიცდიდნენ. უკრაინის რესპუბლიკიდან, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებულმა ამ პროფესიის ადამიანებმა საპატიო წვლილი შეიტანეს ხეობის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. ადგილობრივების ღვაწლიც დასაფასებელია. დღესაც, სხალთის, ფუშრუკაულის, ხიხაძირის, თხილვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს კვალიფიციური ექიმები ხელმძღვანელობენ. ჩვენი სტუმარია თხილვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი ***გიზო გორგილაძე.***

- პროფესიის არჩევისას ბევრი არ მიფიქრია, სტიმული ბაბუაჩემის საქმიანობამ მომცა - ის სხვადასხვა სახის მცენარეებისგან ხალხური რეცეპტით წამლებს ამზადებდა და უსასყიდლოდ ეხმარებოდა ხალხს ამა თუ იმ დაავადების განკურნებაში. სხალთის თემში მას კარგად იცნობდნენ. მერვე თუ მეცხრე კლასში ვიქნებოდი, რომ გადავწყვიტე ექიმი გავმხდარიყავი. ეს ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა, ამავდროულად, სასიამოვნოც, რადგან საშუალება გაქვს ავადმყოფს განსაცდელის ჟამს დაეხმარო და ტკივილი შეუმსუბუქო. ეს უფლისგან ბოძებული უმაღლესი ჯილდოა.

- თხილვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში თქვენი წინამორბედების მუშაობას როგორ შეაფასებთ?

- თხილვანის თემის სოფლები ხულოს ცენტრიდან ძალიან შორსაა, თითქმის თურქეთის საზღვართან მდებარეობს. რამდენადაც ვიცი, სიშორისა და შრომითი ანაზღაურების სიმცირის გამო, ამბულატორიას არ ჰყავდა ექიმი, ამიტომ სამედიცინო საქმიანობას, მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ ექთანი ნაზიბროლა მამულაძე დიდი დატვირთვით ასრულებდა. თხილვანის ამბულატორიაში მუშაობა 2016 წლიდან დავიწყე და თითქმის ყველაფერი ნულიდან ავაწყვე როგორც სამედიცინო, ისე მენეჯმენტის კუთხით: პაციენტთა მიღების სამედიცინო ბარათები, ბავშვთა თუ ზრდასრულთა რეგისტრაციის ჟურნალები, ქრონიკულ პაციენტთა აღრიცხვის ჟურნალები, პაციენტთა ვაქცინაცია, სკრინინგი, საჭიროების შემთხვევაში, მწვავე თუ ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა ქალაქის კლინიკებში გადაყვანა-დახმარების საკითხი მოვაწესრიგე.

- ოჯახის როლი თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში?

- ოჯახს ძალიან დიდი როლი აკისრია ჩემს როგორც პიროვნებად, ასევე, ექიმად ჩამოყალიბებაში. ოჯახის ყველა წევრი პატივს სცემდა ჩემს არჩევანს და მაქსიმალურად გვერდში მედგა, განსაკუთრებით აღვნიშნავ მამიდაჩემის წვლილს, რომელთანაც სტუდენტობის წლები გავატარე. ფაქტობრივად, არაფერს იშურებდნენ, რომ სრულფასოვნად დაფერს ვუფლებოდი არჩეულ პროფესიას და ყოფილიყავი პასუხისმგებლიანი, კეთილსინდისიერი და წარმატებული ექიმი.

- პანდემიის პირობებში მუშაობა იოლი არ იყო...

- პანდემია დიდი გამოწვევა იყო ყველა ექიმისთვის. ვმუშაობდი დატვირთული გრაფიკით, დღისითა თუ ღამით. განსაკუთრებით რთული იყო ზამთრის პერიოდი. დიდთოვლობის გამო სოფლებში სატრანსპორტო გზა იკეტებოდა და ხშირად დავდიოდი გამოძახებაზე ხან ფეხით, ხან ტრაქტორით. დაავადებაც ახალი იყო, ამიტომ მიწევდა ბევრი ახალი ინფორმაციის მოძიება, სწავლებებში მონაწილეობა დაავადების სწორი მართვისა და პაციენტის გამოჯანმრთელების მიზნით.

- პროფესიით ენდოკრინოლოგი როგორ ახერხებდით ახალი კორონავირუსით დასნებოვნებულ პაციენტებთან მუშაობას?

- კორონავირუსული ინფექცია რთულად მიმდინარეობს, ძირითადად, ასაკოვან ადამიანებში და იმ პირებში, ვისაც ქრონიკული დაავადებები აქვს. პროფესიით ენდოკრინოლოგისა და ოჯახის ექიმისთვის, რა თქმა უნდა, თავიდან არ იყო მარტივი მძიმე პაციენტების მართვა, მაგრამ დაუღალავი შრომით, სწავლებებისა და პრაქტიკული საქმიანობით დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, ბევრი რამ შევძელი.

- დაასახელეთ ცნობილი ენდოკრინოლოგი, რომლის თეორიას პრაქტიკაში იყენებთ?

- კლინიკური ორდინატურა გავიარე უკრაინაში, კიევში, ენდოკრინოლოგიის კვლევით ცენტრში, სადაც ვმუშაობდი კიდეც. იქ დავეუფლე სრულფასოვნად ენდოკრინოლოგიას პროფესორ-მასწავლებლებისა და აკადემიკოს ანდრეი ეფრემოვის ხელმძღვანელობით. ხშირად დავდივარ კონფერენციებზე და ვცდილობ ვისწავლო ის, რაც ახალია. საქართველოში მრავალი ნიჭიერი ენდოკრინოლოგი და პროფესორია, რომლებიც გვასწავლიან და გვიზიარებენ საკუთარ თეორიებს, პრაქტიკულ გამოცდილებას, გვარებს არ ვასახელებ.

- რა გასწავლათ სკოლამ?

- მეგობრობა, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, მომცა ცოდნა, რომელმაც გზა გამიკაფა სტუდენტობისაკენ.

- საყვარელი მასწავლებელი?

- ბიოლოგიის მასწავლებელი გ. გორგილაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი ბ. სურმანიძე.

- რაა მთავარი, ოჯახი ჰარმონიული რომ იყოს?

- ურთიერთგაგება, სიყვარული, პატივისცემა. ვფიქრობ, ამ ჰარმონიას მივაღწიე. მეუღლეც ექიმია და ყველა საკითხს გაგებით ვუდგებით.

- შორეულ სოფლებში სამუშაოდ წასვლაზე როგორ დაგიყოლიეს?

- როგორც სხვა კვალიფიციური ექიმი, მეც ვმუშაობ ქალაქის ერთ-ერთ დიდ კლინიკაში, მაგრამ ვცხოვრობ სხალთის თემში. სიმართლე გითხრათ, თავიდან დიდი სურვილი არ მქონდა, ასე შორს მემუშავა, მაგრამ მე ექიმი ვარ, ექიმი კი ხალხის სამსახურში უნდა იყოს. გულთან მივიტანე თხილვანის თემის გამგებლის, ასევე მოსახლეობის თხოვნა და დღემდე მათთან ვარ.

- სხვა სპეციალობაზეც ხომ არ მიგიწევდათ გული?

- ჩემს თავს ყოველთვის მედიცინაში ვხედავდი, სხვა შემთხვევაში, ალბათ, დიზაინერ-მხატვარი ვიქნებოდი.

- რაა მთავარი, პაციენტის სიყვარული და პატივისცემა რომ დაიმსახურო?

- სამედიცინო ეთიკის დაცვა, ნდობა და რწმენა იმისა, რომ პაციენტს აუცილებლად მოარჩენ, მიღწეული შედეგით კი მის პატივისცემას დაიმსახურებ.

- ყოველთვის გულახდილი ხართ?

- პაციენტის მიღების დროს ისე უნდა შეგროვდეს ანამნეზი, რომ ექიმი კი არა, ის გახდეს გულახდილი, რათა სწორად შეფასდეს დაავადება და სწორი დიაგნოზი დაისვას. თუ პიროვნულად გულგახსნილი არ ვარ, იმიტომ, რომ არ მიყვარს საკუთარი პრობლემების სხვისთვის თავს მოხვევა.

- შვილებს რას უსურვებთ? გინდათ, გააგრძელონ თქვენი პროფესია?

- არ ვფიქრობ, რომ თუ მშობლები ექიმები არიან, ნების მიუხედავად, შვილი აუცილებლად ექიმი უნდა იყოს. ეს არ არის სწორი. ვცდილობ, ხელი შევუწყო ჩემს შვილს, რათა სკოლიდან წამოიღოს ცოდნის მაქსიმუმი და რა პროფესიასაც აირჩევს, ის ჩემთვის მისაღები იქნება.

- რამდენად მისაღებია თქვენთვის თურქეთიდან შემოტანილი წამლებით მკურნალობა?

- ჩვენს ქვეყანაში მედიკამენტები ძალიან ძვირი ღირს და ეს სახელმწიფოს ბრალია! საქართველოში 95 პროცენტი უცხოური წარმოების მედიკამენტია, რა თქმა უნდა, მისაღებია ამ მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ ორიგინალი და ხარისხიანი მედიკამენტი ყოველთვის ძვირია. მე ყოველთვის ვცდილობ, ხარისხიანი მედიკამენტი გამოვიყენო,

> ***- როგორც სხვა კვალიფიციური ექიმი, მეც ვმუშაობ ქალაქის ერთ-ერთ დიდ კლინიკაში, მაგრამ ვცხოვრობ სხალთის თემში. სიმართლე გითხრათ, თავიდან დიდი სურვილი არ მქონდა, ასე შორს მემუშავა, მაგრამ მე ექიმი ვარ, ექიმი კი ხალხის სამსახურში უნდა იყოს. გულთან მივიტანე თხილვანის თემის გამგებლის, ასევე მოსახლეობის თხოვნა და დღემდე მათთან ვარ***

- ვაგრძელებთ მთაში მუშაობას თუ...

- როგორც აღვნიშნე, ვმუშაობ ქალაქში, ერთ- ერთ დიდ კლინიკაში, ასევე, თხილვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში. როგორც მთის შვილი და ექიმი, ჩემს ხალხს ვერ მივატოვებ, ყოველთვის ვიდგები მათთან, საჭიროების შემთხვევაში.

- ხიხანის ციხეს, სხალთის ხეობას ტურისტები არ აკლია. თუ გაიხსენებთ ვიზიტიორს, რომელსაც სამედიცინო დახმარება გაუწიეთ?

- რამდენიმე მსუბუქი შემთხვევა იყო, პირველადი დახმარება გავუწიე და მადლიერი გავაცილე, თან გაოცებული, რომ სოფელში ექიმი იყო.

- დაბოლოს, ლირიკული გადახვევა - საყვარელი პოეტი თუ გყავთ?

- ზურაბ გორგილაძე და გალაკტიონ ტაბიძე.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ საჭიროა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მეშვიდე პაკეტი. როგორც მიმართვაში განაცხადა, რუსეთმა უნდა იგრძნოს ზეწოლა. „დღეს იყო უკიდურესად აქტიური საგარეო-პოლიტიკური აქტივობის დღე - სატელეფონო საუბრების თითქმის მარათონი. ჩვენ ვზრდით უკრაინის კანდიდატურის მხარდამჭერთა რაოდენობას და რწმენას, რომ პარასკევს ევროსაბჭოს გადაწყვეტილება დადებითი იქნება. ყველა მოლაპარაკების დროს ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ ევროკავშირის სანქციების მეშვიდე პაკეტი საჭიროა რაც შეიძლება მალე. რუსეთმა ომისთვის ზეწოლის მუდმივი ზრდა უნდა იგრძნოს“, - ამბობს ზელენსკი.

* * *

გერმანიის მიერ გაგზავნილი თვითმავალი ჰაუბიცები PzH 2000-ი უკრაინაში ჩავიდა. მაისში გერმანიამ პირობა დადო, რომ ნიდერლანდების მიერ უკრაინისთვის დაპირებულ 5 ჰაუბიცას შვიდ საარტილერიო სისტემას დაუმატებდა და უკრაინაში გაგზავნიდა. უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ოლექსი რეზნიკოვმა გერმანელ კოლეგა კრისტინე ლამბრეხტს და ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრ კაისა ოლონგრენს გაგზავნილი იარაღისთვის მადლობა გადაუხადა. „Panzerhaubitze 2000 უკრაინული არტილერიის 155 მმ-იანი ჰაუბიცის არსენალის ნაწილი გახდა“, - წერს რეზნიკოვი „ტვიტერზე“. მისი თქმით, PzH 2000-ის მიწოდება უკრაინის მხარდასაჭერად საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითია. ცნობისათვის, Panzerhaubitze 2000-i გერმანიის სამხედრო მარაგში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საარტილერიო იარაღია. ჰაუბიცებს შეუძლიათ 40 კილომეტრამდე მანძილზე მდებარე სამიზნეებს დაარტყან.

* * *

რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შედეგად უკრაინის ინფრასტრუქტურის 20%-30% განადგურდა, - ამის შესახებ უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ალექსანდრე კუბრაკოვმა ფრანგულ Le Monde-თან ინტერვიუში განაცხადა. ომის შედეგად განადგურდა გზები, ხიდები, პორტები, რკინიგზა და აეროპორტები. 25 მაისის მდგომარეობით, უკრაინის ეკონომიკისთვის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების (სკოლები, საავადმყოფოები და ა. შ.) და ინფრასტრუქტურის განადგურების შედეგად მიყენებული პირდაპირი ზარალი შეადგენდა 105,5 მილიარდ აშშ დოლარს. ინფრასტრუქტურის მინისტრის თქმით, ოკუპანტების ქმედებებმა ყველაზე მეტად მარიუპოლი, ხარკოვი, ჩერნიგოვი, სევეროდონეცკი და ლისიჩანსკი დააზარალა. საკუთარი საცხოვრებელი სახლი 320 000-მა უკრაინელმა დაკარგა.

* * *

რუსი ოკუპანტები სლავიანსკზე შეტევის განახლებას ცდილობენ, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული. „სლავიანსკის მიმართულებით ოკუპანტები სისტემატურად ხსნიან ცეცხლს, რათა შექმნან პირობები ქალაქ სლავიანსკზე თავდასხმის განახლებისთვის. ისინი ახორციელებენ შტურმს. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიდან ცეცხლს უხსნიან დმიტროვკას, ოსინოვკას, კურულკას, ივანოვკასა და ადამოვკას ახლომდებარე ტერიტორიებს“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, ხარკოვის მიმართულებით მოწინააღმდეგე ახორციელებს საჰაერო დაზვერვას უკრაინული ძალების განლაგების ადგილების იდენტიფიცირების მიზნით. „აგრესორმა უკრაინის პოზიციების ინტენსიური საარტილერიო დაბომბვა განახორციელა ხარკოვის, სტარი სალტოვის, რუბეჟნოესა და ჩეპილის მახლობლად. გარდა ამისა, მტერმა დაბომბა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა უკრაინკას, პეტროვკას, შეველევკას, ბაზალეევკასა და პრუდიანკას დასახლებების რაიონებში“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ცნობით, დონეცკში მოწინააღმდეგე აგრძელებს ძირითადი ძალისხმევის კონცენტრირებას სევეროდონეცკისა და ბახმუტის მიმართულებებზე, რათა მიაღწიოს ლუგანსკის ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებს. „მტერი ცდილობს დაამყაროს სრული კონტროლი ქალაქ სევეროდონეცკზე, დაბლოკოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები ბოროვსკოესა და ვორონოვოს დასახლებების რაიონებში, ბრძოლა გრძელდება“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან 34 230 რუსი სამხედრო მოკლეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, „უკრაინელმა დამცველებმა ასევე გაანადგურეს: 1496 ტანკი, 3614 ჯავშანტექნიკა, 752 საარტილერიო სისტემა, 239 მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, 99 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 216 საბრძოლო თვითმფრინავი, 182 ვერტმფრენი, 614 ოპერატიულ-ტაქტიკური დრონის უპილოტო საფრენი აპარატი, 14 გემი/ნავი, 2543 სხვადასხვა ავტომობილი და ტანკერი, 60 ერთეული სპეცტექნიკა“, - ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„პოპულარობის მიღწევა მარტივია, რთულია შენარჩუნება“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი ***დემეტრე ზოიძე,*** *რომელიც აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის გადაცემის ჟურნალისტიცაა. გარდა ამისა, დემეტრე 8 სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავს და ახლო მომავალში საავტორო სიმღერის ჩაწერას გეგმავს. მრავალმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდა სოციალური ქსელის ყველა პლატფორმაზე პოპულარული ვიდეობლოგერიცაა. როგორც გვითხრა, ეს საქმიანობა 2014 წელს დაიწყო და ხალხშიც დიდი სიყვარული მოიპოვა.*

- დემეტრე, რომელ სფეროს დაუკავშირეთ თქვენი ცხოვრება და რატომ?

- ჩემი არჩეული სფერო ჟურნალისტიკაა. ძალიან მახარებს და მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა, მათი გაბედნიერება, გახალისება... სხვა ენერგეტიკა სჭირდება დილის მაყურებელს და სწორედ ამან განაპირობა დილის გადაცემაში მუშაობა.

- რამდენად რთული აღმოჩნდა ტელევიზიაში მუშაობა თქვენთვის?

- 14 წლის ვიყავი, როცა მე და ტელევიზია „გადავიკვეთეთ“. თავიდან ძალიან გამიჭირდა - დაუღალავი შრომა, გადაღებები... მოგეხსენებათ, საათობით მიმდინარეობს ყველაფერი, მაგრამ შევეჩვიე და ახლა, როცა ობიექტივში ვიხედები და მეგობრებს, ახლობლებს, მაყურებლებს სიახლეებს ვუზიარებ, ეს მაბედნიერებს და ემოციებით მავსებს.

- პირდაპირ ეთერში გასულ კურიოზულ შემთხვევას თუ გაიხსენებთ?

- კარგად მახსოვს, 20 მარტს, დილით, გამოუძინებელი მივედი ტელევიზიაში და პირდაპირ ეთერში ჩემი ვარცხნილობა ყველაფრის მთქმელი იყო (იცინის). ჯიმ ქერის მადარებდნენ ჩართვის შემდეგ - თუ გაიხსენებთ კადრს ფილმიდან, ამინდის პროგნოზი რომ მიჰყავს, ზუსტად მსგავსი ჩართვა მქონდა მეც.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა, როგორც ვიცი, საკმაოდ დატვირთული ხართ.

- დილით გადაღებაზე გავდივარ, შემდეგ - ინსტაგრამ-რეკლამების შეკვეთებზე, სხვადასხვა ფოტოსესიაზე, ვესწრები ლექციებს და ამასობაში კი გადის 24 საათი (იცინის).

- როგორ უთავსებთ სწავლას სამსახურს?

- რაც უფრო მეტი საქმე გაქვს დღის განმავლობაში, მით მეტს ასწრებ, დღის ბოლოს კი შენც გაოგნებული ხარ, თუ როგორ მოახერხე.

- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული?

- ურთიერთგაგება ყველგან და ყოველთვის.

- სოციალურ ქსელებში თითქმის ყველა პლატფორმაზე ათასობით გამომწერი გყავთ. როგორ ინარჩუნებთ პოპულარობას?

- პოპულარობის მიღწევა მარტივია, რთულია შენარჩუნება. 2014 წლიდან დღემდე არ დამიკარგავს მაყურებელი, რადგან აქტიური ვარ. ვუზიარებ ჩემს მეგობრებს დღის განრიგს, რა გადაღებაზე მივდივარ, ვისთან ერთად ვარ და ეს მათ მოსწონთ.

- გოგონების ყურადღების ცენტრშიც ხართ. ნუთუ ვერავინ დაიპყრო თქვენი გული?

- ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ჩნდებიან და... ქრებიან, თუმცა სერიოზულად ჯერ არ მწვევია ის გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია.

- რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავთ?

- გიტარაზე, პიანინოზე, დრამზე, ფანდურზე, სალამურზე, ჭიბონზე, ჩონგურზე, ჩანგზე...

- თქვენი ვიდეოები მკაფიო იუმორით გამოირჩევა. როგორ შეიქმნა თქვენი პერსონაჟი?

- იუმორი კარგია კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის. ის სტრესისგან გვათავისუფლებს და ცხოვრებისეული სირთულეების უფრო პოზიტიურად დანახვაში გვეხმარება. აი, თუნდაც: თუ ღამით არ უნდა ვჭამოთ, რატომ არის შუქი მაცივარში (იცინის)? თავისით მოდის ეს ყოველივე.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი ოცნება და მიზანია, ერთ-ერთ მეგაშოუში მოხვედრა (საიდუმლოდ ვტოვებ - რომელში). არ ვიცი, რამდენად შევძლებ და მივაწვდენ პროდიუსერებს ხმას, მაგრამ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ!

> *20 მარტს, დილით, გამოუძინებელი მივედი ტელევიზიაში და პირდაპირ ეთერში ჩემი ვარცხნილობა ყველაფრის მთქმელი იყო (იცინის). ჯიმ ქერის მადარებდნენ ჩართვის შემდეგ - თუ გაიხსენებთ კადრს ფილმიდან, ამინდის პროგნოზი რომ მიჰყავს, ზუსტად მსგავსი ჩართვა მქონდა მეც*

მარიამ მიქელთაძე მშობლიური სკოლის წინაშე წარსდგა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო თერთმეტწლედის დიდ საკონცერტო დარბაზში ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულ მარიამ მიქელთაძის კონცერტი გაიმართა (ასოცირებულ პროფესორ ნინო ქათამაძის კლასი). პროგრამაში იყო ლისტის, შუმანისა და პროკოფიევის ნაწარმოებები

მარიამი ბათუმში საქართველოს დამსახურებულ პედაგოგ ინგა ბოცვაძის კლასში სწავლობდა. ავადმყოფობის გამო ქალბატონი ინგა კონცერტს ვერ დაესწრო, თუმცა შემდეგ ჩანაწერები ნახა.

- მარიამი თერთმეტი წელი - პირველი კლასიდან სწავლობდა ჩემთან და იმთავითვე ეტყობოდა მიზანდასახულობა. არცერთ გაკვეთილს არ გააცდენდა, ძალიან თბილი და კეთილშობილი, ზრდილობიანი გოგონაა. ფორტეპიანოს ხმით მეზობელი რომ არ შეეწუხებინა, აქ მოდიოდა - მუსიკალურში და გვიანობამდე უკრავდა, სანამ არ დაიკეტებოდა. ყოველთვის არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან გაიზარდა. პატარა რომ იყო, ორკესტრთან ერთადაც უკრავდა, როიალთან არ ჩანდა, მაგრამ ორკესტრთან ერთად მშვენივრად შეასრულა მეორე კლასის ნაწარმოებები. ახლახან კარგი კონცერტი გამართა თბილისის კონსერვატორიაში, იგივე პროგრამა დაუკრა ბათუმში. მაფასებდა ყოველთვის. საერთოდ, ძალიან გამიმართლა, კარგი ბავშვები მყავდა - მიშიკო დუმბაძე, საბა მიქელაძე, სხვებიც... წარმატებებს ვუსურვებ მარიამს. კმაყოფილი ვარ, კარგად დაუკრა, - გვითხრა ქალბატონმა ინგამ.

მარიამის შესახებ აზრი გამოთქვეს დარბაზში მყოფმა მუსიკოსებმა.

ძეთინო მანელიშვილი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორის მოადგილე: - ეს არაჩვეულებრივი გოგონა ჩვენ თვალწინ გაიზარდა და ვხედავთ, რომ უკვე ჩამოყალიბდა მუსიკოსად. ძალიან საინტერესო პროგრამით წარსდგა, შეიძლება ითქვას, რომ მან ოთხი წლის შემდეგ ჩაგვბარა ანგარიში.

ლალი ჯელიძე, პროფესორი: - ჩვენი ყოფილი მოსწავლეა მარიამი, ძალიან კარგი პიანისტია. გაიზარდა, გემოვნება ძალიან დაეხვეწა, ტექნიკურადაც გაზრდილია. ძალიან გვასიამოვნა დღეს თავისი გამოსვლით.

რუსიკო კვახაძე, სამუსიკო სკოლის პედაგოგი: - მარიამ მიქელთაძე ჩვენი სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულია, არაჩვეულებრივი პედაგოგის ინგა ბოცვაძის აღზრდილი, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა და დღეს ძალიან გაგვახარა და გაგვაბედნიერა, სოლოკონცერტით ძალიან ვისიამოვნეთ. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მარიამს.

თეა გოგოტიშვილი, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თერთმეტწლედის საფორტეპიანო განყოფილების მეთოდისტი: - მარი ჩემთან სწავლობდა კამერული ანსამბლის კლასში, გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებით, მუსიკისადმი ძალიან გულწრფელი დამოკიდებულებით. ისეთი მიზანდასახული და შრომისმოყვარეა, რომ ბევრ რამეს მიაღწევს არა მარტო მუსიკაში, არამედ, საერთოდ, ცხოვრებაში. ძალიან თბილი გოგონაა, ყველასადმი კეთილგანწყობილი. ჩვენ ვმონაწილეობდით სხვადასხვა კონკურსში, სადაც ძალიან დიდი წარმატება ჰქონდა, თბილისის კონსერვატორიაში მესამე ადგილი ავიღეთ. ჩემი შვილის უახლოესი მეგობარია, ერთად სწავლობენ თბილისში, ჩემთვის უსაყვარლესია. ვუსურვებ დიდ წარმატებებს როგორც შემოქმედებით გზაზე, ისე ცხოვრებაშიც.

ირმა აბუსერიძე, სამუსიკო თერთმეტწლედის თეორიული განყოფილების მეთოდისტი: - პირველი კლასებიდანვე დავიწყეთ ურთიერთობა, მეშვიდე კლასიდან მუსიკის ისტორიას ვასწავლიდი. ძალიან მეგობრულია, ყოველთვის აღწევს იმას, რასაც ჩაფიქრებს. დიდი წარმატება მინდა ვუსურვო. მისი განსაკუთრებულობა მის თავმდაბლობაშიცაა, უსაყვარლესია, ყოველთვის ვეხმიანებით ერთმანეთს, რაც დასაფასებელია. ყველას რჩევას ითვალისწინებს.

ნინო ჩაიძე, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სკოლა-თერთმეტწლედის დირექტორი: - არაჩვეულებრივი გოგონაა, სწავლას და შრომას მოწყურებული, რომელსაც თავისი მიზნები აქვს და აღწევს კიდეც საქმისადმი დიდი სიყვარულით. მინდა, ვუსურვო დიდი წარმატება და ბევრი სიხარული ყველა იმ სფეროში, რომელშიც აპირებს მოღვაწეობას. თავისი პროფესიონალიზმით, მონდომებით ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

მარიამ მიქელთაძემ კონსერვატორია დაამთავრა, საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაბარა და ახლა მაგისტრატურის მისაღები გამოცდებისთვის ემზადება. როგორც გვითხრა, მანამდე სურდა, მსმენელის წინაშე წარმსდგარიყო...

- და სად, თუ არა ჩემს მშობლიურ სასწავლებელში. დიდი მადლობა ქალბატონ ნინო ჩაიძეს, რომელმაც ამის საშუალება მომცა, გვერდით დამიდგა. ცოტათი ვნერვიულობდი, თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. რეპერტუარი მე და ჩემმა პედაგოგმა ერთად შევარჩიეთ. ზოგადად, ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა, - გვითხრა მარიამმა.

ბათუმის გარდა, მარიამ მიქელთაძე ზესტაფონელი და ქუთაისელი მსმენელის წინაშეც წარსდგება.

> *იმთავითვე ეტყობოდა მიზანდასახულობა. არცერთ გაკვეთილს არ გააცდენდა, ძალიან თბილი და კეთილშობილი, ზრდილობიანი გოგონაა. ფორტეპიანოს ხმით მეზობელი რომ არ შეეწუხებინა, აქ მოდიოდა - მუსიკალურში და გვიანობამდე უკრავდა, სანამ არ დაიკეტებოდა. ყოველთვის არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან გაიზარდა. პატარა რომ იყო, ორკესტრთან ერთადაც უკრავდა, როიალთან არ ჩანდა, მაგრამ...*

„ხვანჭკარის“ წლევანდელი მოსავალი სრულად რაჭაში გადამუშავდება

„ხვანჭკარის“ ადგილწარმოშობის ზონაში დაყენების შესახებ წესი წელს ამოქმედდება

ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან მეხუზლამ „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადა. მისი თქმით, რაჭაში სიმძლავრეები უკვე არსებობს, რომ მოსავლის გადამუშავება ადგილზე მოხდეს.

„ხვანჭკარა“ გახლავთ დაცული ადგილწარმოშობის ღვინო. რამდენიმე წელია, დაგეგმილია, რომ ღვინის მისი დამზადება მომხდარიყო ადგილზე, ანუ ზონაში, სადაც მისი მოყვანა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი იყო, დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ხდებოდა გადადება, იმის გათვალისწინებით, რომ რაჭაში არ იყო საკმარისი სიმძლავრეები ღვინის დასამზადებლად. ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ხვანჭკარის“ დამზადება მოხდება მხოლოდ რაჭაში.

ეს, პირველ რიგში, განავითარებს რეგიონს. ადგილწარმოშობის პრინციპის დაცვისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლოს და ბოლოს, ეს წესი ამოქმედდება. წელს „ხვანჭკარის“ დასამზადებლად რაჭიდან ყურძნის გამოტანა აღარ მოხდება“, - განაცხადა ლევან მეხუზლამ.

შეგახსენებთ: „ხვანჭკარის“ ადგილწარმოშობის ზონაში გადამუშავებასთან დაკავშირებით განცხადება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მაშინდელმა მინისტრმა ლევან დავითაშვილმა პირველად 2017 წელს გააკეთა. უწყების პოზიცია იყო, რომ „პოპულარობა, რომელიც ამა თუ იმ ბრენდს აქვს, იმ რეგიონს უნდა მოხმარდეს, სადაც ის იწარმოება“. მაშინვე ითქვა, რომ ღვინის გადამუშავება 2019 წლიდან დაიწყებოდა, მოგვიანებით ვადამ 2021 წლამდე გადაიწია, თუმცა პანდემიის მიზეზით, მორატორიუმი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდა. „ხვანჭკარის“ 2022 წლის მოსავალი სრულად რაჭაში გადამუშავდება.

ამირან ბურიელიძე

წიგნები აჭარის მწერალთა კავშირში წარადგინეს

დარია თურმანიძის და ეთერ დეკანაძის თანამედროვენი, სამი თაობის პოეტები, საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ აჭარის მწერალთა სახლის დარბაზში მათდამი მიძღვნილი წიგნების - «ლამაზი სიცოცხლის პალიტრა» და «მოგონებები გარდასულ დღეთა» წარდგინებაზე

ღონისძიება გახსნა და ორივე ქალბატონის დამსახურებაზე ისაუბრა აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დავით თედორაძემ. მან მოიშველია წიგნში «მოგონებები გარდასულ დღეთა» შეტანილი, მწერალ ელგუჯა ლებანიძის ნოველიდან «ხუთ წუთში გავა მატარებელი» ამონარიდები და დასძინა:

ცხოვრება შენი უსპეტაკესი,
მთაში დარჩება ლამაზ მითებად,
ჩვენ გვეპატიოს, რომ შოთას ლექსი,
ვერ გისახსოვრეთ დროზე მზითევად.
ხარ სიყვარულით გარემოცული,
ეს დღეც ამისი არის დასტური,
ახლა ღვთის წიგნი - სიბრძნედ მოსული
იქნება დარჩეს დაო, მაცდური.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, საპატიო ბათუმელმა ნათელა დუმბაძემ თავის გამოსვლაში იმ ახალგაზრდების ლიდერი იყო. დარია თურმანიძე - ქედელების, ეთერ დეკანაძე - ხულოელების. ბატონმა ვლადიმერმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ეთერ დეკანაძისა და ქვეყნის ახალგაზრდობის მაშინდელი ლიდერის, ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მეგობრულ ურთიერთობებს. «ეთერ დეკანაძე სანიმუშო თვისებებით გამორჩეული ქალია, რომელსაც არასდროს უცდია თავის გამოჩენა. დიდ და პატარა საქმეს ყოველთვის უხმაუროდ და ყოველგვარი რეკლამის გარეშე აკეთებდა და აკეთებს, უბრალოება და თავმდაბლობაა მისი ხასიათის გამორჩეული ნიშანი».



აპრილში ქედის კულტურის სახლის დარბაზში დარია თურმანიძისადმი მიძღვნილი წიგნის წარდგენა გაიმართა. ჟუჟუნა შარაძე და თამაზ აბულაძე არიან «ლამაზი სიცოცხლის პალიტრის» ავტორები. წიგნის, დარია თურმანიძის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ ისაუბრეს პოეტმა ნათელა დუმბაძემ, ჟუჟუნა შარაძემ, ქედის კულტურის ცენტრის წამყვანმა სპეციალისტმა ლია მახარაძემ, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში არსებული სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა მერი დიასამიძემ.

სტუდენტობის წლები, სამსახურებრივი ურთიერთობები გაიხსენეს თავიანთ გამოსვლებში პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ, გულნარა ბასილაძემ, ჟუჟუნა ფერსელიძემ, ნერიმან ცინცაძემ, პოეტ ვახტანგ აბულაძის მეუღლე ირინარქი კვირკველიამ. დავით აღმაშენებლის, ანა კალანდაძისა და ფრიდონ ხალვაშის პრემიების ლაურეატი, პოეტი, საპატიო ბათუმელი ცისანა ანთაძე დარია თურმანიძის თანაკურსელია. ორივე წიგნში შეტანილია მისი წერილები: «საცა შენა ხარ, მართლა დარია...» და «საინტერესო, სევდიანიც, ულამაზესიც...» მან, ასევე, პოეტებმა ბელა ქებურიამ, გულიკო გაბაიძემ, მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ საინტერესო მოგონებებით ღონისძიება გაალამაზეს. გულიკო გაბაიძემ წიგნების ადრესატები სამახსოვრო საჩუქრებით გაახარა, ლალი კონცელიძემ კი მწერალთა კავშირის მიერ გამოცემული, აჭარაში მომუშავე პოეტების ლექსების კრებულები უსახსოვრა.

- ეთერ დეკანაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წიგნის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. ჩვენი მეგობრობა ორმოც წელზე მეტს ითვლის, ამიტომაც თამამად შემიძლია ვისაუბრო მისი ცხოვრების გზაზე, ეს არის საინტერესო, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, პროფესიონალი და უანგარო ქალბატონი, რომელსაც ამ წლების გადასახედიდან ვაყას მთის არწივს ვადარებდი, - აღნიშნა წიგნის შემდგენელმა ჩიტო ომერაძემ.

ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ აბაშიძემ, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვანო პაპუნიძემ, ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ, დარიასა და ეთერის მეგობარმა მერი ზოიძემ, სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა იზოლდა სურმანიძემ წიგნების მნი-შვნელობაზე, მათი ადრესატების ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე ისაუბრეს.

ღონისძიებაზე მადლობა გადაუხადეს პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძეს ეთერ დეკანაძისადმი მიძღვნილი წიგნის გამოსაცემად ფინანსური მხარდაჭერისთვის.

დარია თურმანიძე: - ლამაზი, დაუვიწყარი დღე გვაჩუქა აჭარის მწერალთა კავშირმა, თითოეულმა დამსწრემ. მადლობა ყველას. მადლობა დაბა ქედის საჯარო სკოლის დირექტორ თამრიკო აბულაძეს, რომელმაც ღონისძიებაზე დასწრებით ერთხელ კიდევ გამახარა. ჩემს ცხოვრებას, შრომას ერთი მნიშვნელოვანი დღე შეემატა.

ეთერ დეკანაძე: - ბობოქარ ეპოქაში ვიცხოვრე და ვიშრომე, გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ, უკან მოხედვის და არც წინ გახედვის არ მეშინია. მგონი, შევძელი მეცხოვრა ადამიანურად. ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას - ვინ ვარ, ვინ ვიყავი? ამ დღემ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ ცხოვრებას, შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მადლობა წიგნის გამოცემის ინიციატორებს, დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს.

> ***„ბობოქარ ეპოქაში ვიცხოვრე და ვიშრომე, გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ, უკან მოხედვის და არც წინ გახედვის არ მეშინია. მგონი, შევძელი მეცხოვრა ადამიანურად. ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას - ვინ ვარ, ვინ ვიყავი? ამ დღემ კიდევ ერთხელ დამანახა, რომ ცხოვრებას, შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მადლობა წიგნის გამოცემის ინიციატორებს, დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორებს***

ლაკლაკეთელებს სასმელი და სარწყავი წყალი ექნებათ

ლაკლაკეთი ის დასახლებაა შუახევის მუნიციპალიტეტში, რომლის ბარაქიანი მიწა ყურძნის, ხეხილის, ბოსტნეულის ხვავრიელ მოსავალს იძლევა. რამდენიმე ოჯახი ფუტკარს, პირუტყვს უვლის. საუკუნეების წინ ლაკლაკეთელებმა ღელეთის უბანზე გამოვლით სარწყავი არხი გამოიყვანეს. ბოლო წლებში განვითარებული მეწყრული პროცესების გამო, არხი მნიშვნელოვნად დაზიანდა, არადა, მიწის სამჯერადი მორწყვის გარეშე აქაური კეთილი ფერმერის შრომა ფუჭად ჩაივლის.

ლაკლაკეთელებს სეჯილისა და საქორიტყის უბნებში არსებული წყაროების ერთ აუზში შეკრება და მილებით ეზომდე გამოყვანა სურთ.

ამ და სხვა საკითხების მოწესრიგება ითხოვეს ლაკლაკეთელებმა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძესთან, უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელ ემზარ დავითაძესთან ერთად გამართული შეხვედრის დროს. პრობლემებზე ისაუბრეს მარინე კეჟერაძემ, ქემალ, თეიმურაზ აბუსელიძეებმა, ვეზირ ბერიძემ, ციცინო სურმანიძემ.

- ლაკლაკეთში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განვახორციელეთ. აქაურების სარგებლობაში «სოფლის სახლი», დაწყებითი სკოლის ახალი შენობაა. მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული სოფლის ცენტრის კეთილმოწყობისთვის. ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება კერკეტვანა-ლაკლაკეთის გზაზე და ოკისის უბანში მისასვლელი საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე. აქ გამართულ შეხვედრაზე მოსახლეობის წარმომადგენლებმა სასმელი და სარწყავი წყლების გამოყვანა ითხოვეს, რაც 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

სამანქანე გზა გაიყვანეს

არჩილ ბერიძის ოჯახი შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მოფრინეთში სახლობს. 7 მცირეწლოვანი შვილის მშობლებს ეზომდე მისასვლელი საავტომობილო გზა არ ჰქონდათ. ოჯახმა დახმარებისთვის შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს როსტომ ლორთქიფანიძეს მიმართა.



შუახევის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ «კომუნალურმა სერვისმა» თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, გაჭირვებაში მყოფ ოჯახს ტექნიკა უფასოდ დაახმარა. მექანიზატორმა ორი დღე მოანდომა გზის გაყვანას.

- უგზოობა გვაწუხებდა. ეს პრობლემა უკვე მოგვარდა, მაჟორიტარი დეპუტატი ეზომდე მისასვლელი საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებასაც გვპირდება, - გვითხრა არჩილ ბერიძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მთა ღომა მალე შეივსება

მთა ღომაზე ზაფხულს უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულისა და მერისის ხეობის მეცხოველეები ატარებენ (ღომა, ლაშე, საყენდრია).

თანამედროვე სტანდარტების შესაფერისად მოწესრიგებულია შუახევიდან მთა ღომამდე მისასვლელი 21-კილომეტრიანი საავტომობილო გზა. არის შეპირება, რომ მერისი-ღომა-ლაშეს საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაც დაიწყება

მთა ღომაზე გარკვეული ტერიტორია რეკრეაციულ ზონადაა გამოცხადებული. უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს აქ სასტუმროების, კოტეჯების აგება სურთ - მდიდარი ფლორა, სამკურნალო წყლები გამაჯანსაღებელ გარემოს ქმნის.

შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით წელს მთა ღომაზე ელექტროგაყვანილობა მოწესრიგდება, გაკეთდება სპორტული მოედანი. ღომა-საყენდრიის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაც იგეგმება.

ბოლო წლებში ღომაზე ათეულობით მთის სახლი და კოტეჯი აშენდა. აქ დროებით საცხოვრისი მოიწყვეს ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის მკვიდრებმა.

ღომაზე თოვლი ყველაზე გვიან დნება. აქ მეცხოველეები, სხვა მთებისგან განსხვავებით,

ყველაზე გვიან - ივნისის ბოლო დღეებში მირეკავენ პირუტყვს და სექტემბრის დასაწყისში მთას ტოვებენ. ათამდე ფერმერმა კი უკვე გადაიყვანა პირუტყვი. ფერმერებს შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები შეხვდნენ და მათი პრობლემებით დაინტერესდნენ.

თავისუფალ დროს შექმნილი ხელოვნების ნიმუშები

ზიჭრია დავლაძე 597 25 25 72

მაია კომახიძე ესკიზების შესაქმნელად ფანქრის ნათალებს, ნაძვის ხის სათამაშოების ნამსხვრევებს, სხვადასხვა გამოუსადეგარ ნივთს იყენებს

მან შეძლო ამ ყველაფრის ხელოვნების ნიმუშებად ქცევა. ახალგაზრდა ქალი სოფელ განთიადში ცხოვრობს. დამღლელმა სამუშაო გრაფიკმა და ოჯახურმა საქმეებმა ხელი ვერ შეუშლა და „უვარგისი“ ნივთებისგან საოცრებები შექმნა, ნარჩენებისგან - ფერადი ყვავილები, სხვადასხვა დიზაინის მოდელები, ულამაზესი პეიზაჟები... ეს მცირე ჩამონათვალია, რითაც თვითნასწავლმა ხელოვანმა ყურადღება მიიქცია და მოწონებაც დაიმსახურა. ამბობს, რომ მუშაობის პროცესი მისთვის სასიამოვნოა და ამით არასოდეს იღლება.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სამსახურს ხელოვნებასთან კავშირი არ აქვს, ყოველთვის მიყვარდა ეს სფერო. ხელოვნება ჩემთვის ენერგიის მომცემია, რითაც პერიოდულად ვიკვებები. ბავშვობიდან ვხატავდი ესკიზებს, ვკერავ, ვქარგავ სამოყვარულო დონეზე. ერთ დღესაც ვიფიქრე, ფანქრების, რომლებსაც ჩემი შვილი ხშირად იყენებს, ნათალი მასალა რაღაცაში გამომეყენებინა. დავხატე კაბის ესკიზი და ზედ ეს მასალა წებოს საშუალებით დავამაგრე. მახსოვს, პირველად, როცა დავიწყე მუშაობა ამ ნიმუშებზე, სამსახურიდან მოსული, დაღლილი ვიყავი, თუმცა ისე შემომათენდა, ვერ გავიგე. თითქოს დაღლილობა გაქრა და დროის შეგრძნებაც დავკარგე. როდესაც ახლობლებმა ნახეს, მოიწონეს და ამან დიდი მოტივაცია მომცა. რამდენიმე მსგავსი ნამუშევარიც შევმატე ჩემს კოლექციას. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში რეჟისურისა და დიზაინის ფაკულტეტი დავამთავრე, თუმცა პროფესიით არ მიმუშავია, მალევე შევქმენი ოჯახი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ჩემს გასართობს, როგორც ვეძახი, სერიოზულად აღვიქვამდი და უმთავრეს საქმედ ვაქცევდი. იმდენად გადაღლილი ვბრუნდები სახლში, ნამდვილად არ მეგონა, სხვა რამის კეთებისთვის ძალა თუ მეყოფოდა, მაგრამ რაც ძალიან გიყვარს და სულს გიტკბობს, გამშვიდებს, რეალობას გწყვეტს, მისთვის ალბათ ყოველთვის გამონახავ დროს - გამოიყენებ შესაძლებლობას, შექმნა სილამაზე, თანაც ისეთი, სხვისთვისაც მოსაწონი რომ იქნება, - ამბობს მაია კომახიძე.

ხელოვანის თქმით, მნიშვნელოვანია ოჯახისა და ახლობლების მხარდაჭერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვიდოდა. მეტიც,

იხ. მე-8 გვ.

რატომ უთხრა ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარი?

პიორველი გვერდიდან

ღარიბაშვილის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, ვინც ევროპაში ითხოვდა, საქართველოს არ მიეღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, უკრაინის რადის დეპუტატი და მმართველი პარტიის ფრაქციის ლიდერი დავით არახამიაა. პრემიერის თქმით, ეს ინფორმაცია მას ევროპელი და ამერიკელი კოლეგებისგან აქვს: „პრაქტიკულად ულტიმატუმი წაუყენეს ევროპას, თუ საქართველო მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, ძალიან გულდაწყვეტილები დარჩებოდნენ. ეს ყველაფერი ამათ ძალიან კარგად იციან. ჩვენ საჯაროდ მოვისმინეთ - ბატონი არახამია, ქართული გვარის მატარებელი, გამოდის სამარცხვინო ბრალდებებით, მაგალითად, ბრალი დაგვდეს მათმა მეგობრებმა უკრაინაში, თითქოს ჩვენ - მთავრობა ვავალებთ სპეცსამსახურებს და ვეხმარებით რუსულ სანქციირებულ კომპანიებს. დღემდე არცერთი ფაქტი არ წარმოგიდგენიათ. ეს არის მტრობა ქვეყნის. სად არის თქვენი რეაქცია, სად არის თქვენი პარტნიორობა?!“.

პრემიერის განცხადებით, ევროკომისიამ დეოლიგარქიზაციის შესახებ ჩანაწერი გააკეთა უკრაინის და მოლდოვის შემთხვევაშიც, მაგრამ, მისი თქმით, ეს უკრაინას უფრო ეხება, ვიდრე საქართველოს. „ჩვენ მსგავსი პრობლემა არ გვაქვს, არც გვქონია და არც გვექნება. დღეს ბატონი კეზერაშვილი არის ნამდვილი ოლიგარქი, რომელიც აფინანსებს სამივე ტელევიზიას - „მთავარ არხს“, „ფორმულას“, „ტვ პირველს“, აფინანსებს მათ ხელფასებს და ყოველდღიურ დანახარჯებს მოპარული, ნაძარცვი ფულით. კეზერაშვილი როგორც კი წავიდა მთავრობიდან, როგორ მოახერხა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის აკუმულირება საკუთარ ანგარიშებზე? კითხვა არ გიჩნდებათ, მეგობრებო? კითხვა არ უჩნდება ჩვენს ვითომ ევროპელ მეგობრებს?“.

პრემიერმა ასევე მიმართა „ლელოს“ ერთ-ერთ წევრ ანა ნაცვლიშვილს და აღნიშნა, რომ ის წარმოადგენს პარტიას, „რომელიც ეკუთვნის ბანკირს, ოლიგარქ ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ჰქონდა სურვილი და განზრახვა, ემართა პოლიტიკა, მთავრობა და პარლამენტი. ხაზარაძე არის ბიზნესმენი, ბანკირი, რომელმაც ანაკლიის პორტი ვერ ააშენა, რადგან ფული არ დახარჯა“.

მოგვიანებით ანა ნაცვლიშვილმა, რომელიც მანამდე, პროტესტის ნიშნად, ზურგშექცევით იჯდა სხდომაზე, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროკავშირში საქართველოს შესვლას კონკრეტული ადამიანი - ბიძინა ივანიშვილი ეღობება. „არაფერზე პასუხისმგებლობას არ იღებთ, რაც ამ ქვეყანაში ხდება, ესე იგი არაფერი თქვენ არ გეკითხებათ და ერთი კითხვა მრჩება მხოლოდ: მინდვრის დედოფლის მოსავალს როგორი პირი უჩანს ამ ქვეყანაში? სხვას თქვენ არავინ არაფერს გეკითხებათ ამ ქვეყანასთან დაკავშირებით. როგორც დაგდეს მაგ სკამზე, ისე გადაგდებენ ცოტა ხანში და ნათელია, რომ ეს ასე მოხდება. ევროკავშირში საქართველოს შესვლას დღეს ეღობება ერთი კონკრეტული ადამიანი, ივანიშვილი აკეთებს ყველაფერს, რომ საქართველო გადააგდოს ისტორიული განვითარების გზიდან“.

ურთიერთობრალდებებისა და შეურაცხყოფების ფონზე მიმდინარე სხდომაზე, საგარეო პოლიტიკასთან ერთად, პრემიერმა უსაფრთხოებაზე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, სოციალურ პოლიტიკასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ისაუბრა.

ცნობისთვის: *ევროკომისია რეკომენდაციას აძლევს უკრაინისა და მოლდოვისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას თანდართული პირობებით, საქართველოსთვის კი რეკომენდაციას უწევს ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარებას. კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოს პირობების შესრულება მოუწევს, რასაც მონიტორინგს ევროკომისია გაუწევს. პირველადი შეფასება, სავარაუდოდ, წლის ბოლოს გამოქვეყნდება. კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპული საბჭო 23-24 ივნისის სამიტზე მიიღებს.*

მოამზადა
ანკა ჩხიკვაძემ

„ველარ მოატყუებთ ქართველ ხალხს, MAP-ის მოცემა რომ აზეიმეთ წინასწარ და ვიხილეთ სასტიკი იმედგაცრუება“

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნატოს წევრობისკენ გზაზე ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ბარიერი არის ოკუპირებული ტერიტორიები, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში განაცხადა. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა რეზოლუციაზე ხელის მოწერით ოკუპაცია დააკანონეს.

„მივემგზავრები მადრიდში და მივიღებ მონაწილეობას ნატოს მადრიდის სამიტში, სადაც, რა თქმა უნდა, ველით, რომ სათანადოდ იქნება ასახული ყველა ის პროგრესი და მიღწევა, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ჩვენს ჯარს აქვს, ჩვენს ქვეყანას აქვს.

რაც შეეხება გაწევრიანების საკითხს, აქაც მინდა, რომ ძალიან მკაფიო ვიყოთ და არ დავიწყოთ ზედმეტი სპეკულაციები. კარგად მოგეხსენებათ, რომ ნატოს წევრობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე, ეს არის დამოკიდებული ნატოს ყველა წევრის კონსენსუსზე და ეს გადაწყვეტილება მიიღება საერთო კონსენსუსის გზით და, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ ამაში ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ბარიერი არის ოკუპირებული ტერიტორიები, ოკუპაცია.

ახლა არ მოეწონებათ ჩვენს ოპონენტებს, მაგრამ მე მინდა გავიხსენო, რომ 2007 წელს რუსეთის ბოლო ქვედანაყოფებმა დატოვა ჩვენი ქვეყანა, რუსული ჯარი საქართველოდან 2007 წელს გავიდა. 2008 წელს, მახსოვს, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი და ძალიან ბევრი ლიდერი გამოდიოდნენ და იძახდნენ, რომ რუსეთი არაფერ შუაშია, ჩვენ საქმე გვაქვს ოსეთთან, კოდორს დაარქვეს ზემო აფხაზეთი და ა. შ. რამდენიმე დღეში დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი, რუსული ჯარი შემოვიდა საქართველოში. ომის დასრულების შემდეგ აქ რომ მეჯდა ვაუბატონი, მეგის ქარდავას და დათა ახალაიას მეგობარი აკო მინაშვილი - ამ ვაუბატონს აქვს ხელი მოწერილი კაპიტულანტურ რეზოლუციაზე, მაგიტომ ხტუნაობდა აქ ზედმეტს და მაგიტომ ჰქონდა ემოციური, არტისტული გამოსვლები. სად არის თქვენი პროტესტი? რეზოლუციაში პირდაპირ წერია, ბრალი დასდეთ სამხედროებს ომის დაწყებაში, ამაზე ხელი მოუწერეს სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და შედეგად მივიღეთ დაკანონებული ოკუპაცია.

თქვენ თუ გინდათ, რომ ილუზიაში იცხოვროთ და ხალხი ატყუოთ, ხალხს ვერ მოატყუებთ, ველარ მოატყუებთ იმიტომ, რომ ჩვენ ვართ დღეს ხელისუფლებაში. ძალიან ბევრი ტელევიზიაა და ძალიან ბევრი გულანთებული ქართველი ხალხი იცავს იმ მონაპოვარს, რომელიც 2012 წლის პირველ ოქტომბერს მოიტანა „ქართულმა ოცნებამ“. ველარ მოატყუებთ, მეგობრებო, ქართველ ხალხს, MAP-ის მოცემა რომ აზეიმეთ წინასწარ და მერე ვიხილეთ იმედგაცრუება, სასტიკი იმედგაცრუება“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამირან გურიელიძე

„ფანჯარა თქვენთვის არის დაკეტილი, დიდი ხნით, სამუდამოდ!“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ოპოზიცია ხალხს ატყუებს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე შესაძლებლობის ფანჯარა დაიკეტა.

„რეალურად, რეკომენდაცია არის გაცემული, ანუ ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია. ახლა ესენი გამოდიან და ელაპარაკებიან ხალხს, რომ ფანჯარა... რა ფანჯარაზე მელაპარაკებით, ისტორიული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ისტორიული ჩანაწერი გაჩნდა. მახსოვს, თქვენს დროს ასოციერების შეთანხმებაც კი ვერ დაიწყეთ, გააჭანჭლეთ, 3 წელი იყო ჯახირი და შემდეგ არათუ უვიზო რეჟიმი... არაფერზე იყო საუბარი, არც თავისუფალ ვაჭრობაზე, საერთოდ - არაფერზე. მახსოვს, ძალიან ცხარე დისკუსიები გვქონდა ჩემი პირველი პრემიერ-მინისტრობის დროს, როცა ვათანხმებდით ტექსტს ასოციერების შეთანხმებაში, მაშინ ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ „ევროპული“ ჩაწერილიყო ქვეყანასთან მიმართებით. ძალიან დიდი წინააღმდეგობა იყო და ბოლოს, დავითანხმე და ჩაიწერა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფო. დღეს პირველად გეუბნებათ ხალხი, კარს გიღებთ ევროპაო, ამათ არ მოსწონთ და ხალხს ატყუებენ, რომ ფანჯარა დაიკეტა. ფანჯარა თქვენთვის არის დაკეტილი, დიდი ხნით, სამუდამოდ!“, - მიმართა ღარიბაშვილმა ოპოზიციას.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 22/06/22, 21 ⁵⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ვისაც ქართული საუნჯე აინტერესებს და უყვარს, ეს სასწავლებელი მათთვისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენი მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა, სადაც ამჟამად 120-ზე მეტი მოსწავლე ეუფლება ქვეყნისთვის იმ საჭირო და აუცილებელ საქმეს, რასაც ქართული ცეკვის, ხალხური მუსიკის საფუძვლიანად შესწავლა ჰქვია

ამ მიმართულებით სწავლება სამწლიანია. რაც შეეხება ტრადიციულ რეწვას, როგორც სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ გვითხრა, სურთ, ერთწლიანი გახადონ, რადგანაც ეს მიმართულება დასაქმებასა და მეწარმეობასთანაა (აქ თვითდასაქმებას გულისხმობენ) დაკავშირებული და ადამიანს არ აქვს

იმის დრო, რომ ორი-სამი წელი ერთი და იგივე საკითხს „უტრიალოს“. აქ მთავარია, მინიმალური შეისწავლოს, რაც სავსებით საკმარისია, რომ სამომავლოდ ამ მიმართულებით გამოიყენოს.

ამ დღეებში სკოლა ფართო საზოგადოების წინაშე საანგარიშო კონცერტით წარსდგა ბათუმის საზაფხულო თეატრის სცენაზე და თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს იყო უმაღლესი დონის შემოქმედება. მოსწავლეებმა და მათმა პედაგოგებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს ის, რასაც ეუფლებიან ამ სკოლაში.

სასწავლებელს ყოველთვის ჰყავდა მზრუნველი ხელმძღვანელი, აქ არაერთი ხელოვანი დაფრთიანდა, რომელიც შემდეგ წარმატებით მოღვაწეობდა და დღესაც მოღვაწეობს სხვადასხვა კოლექტივში და ასობით ბავშვს ასწავლის და უღვივებს ჩვენი საგანძურის სიყვარულს. სკოლაში ბევრი სიახლე დაინერგა 2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც სკოლას სათავეში ვახტანგ ბერიძე ჩაუდგა. შეიცვალა შინაარსობრივი ნაწილი. ამჟამად სკოლა სხვა შემოქმედებით სიმაღლეზეა და ეს კარგად გამოჩნდა საღამოზე. აქ მუდმივად მიმდინარეობს შემოქმედებითი სწავლების პროცესის განახლება-გამრავალფეროვნება. დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 2022 წლის 18 აპრილს, როცა ხარისხის ცენტრმა სამი პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება მისცა. საქმე შემდეგშია: 2010 წლის შემდეგ, რაც ა(ა)იპ-ად გადაკეთდა, მთავარი პრობლემა სკოლაში იყო დოკუმენტი, ანუ სახელმწიფო ვერ ადასტურებდა იმ კვალიფიკაციას, რასაც ბავშვები სწავლების პროცესში იღებდნენ. შესაბამისად, ეს მათ ხელს უშლიდა დასაქმებაში. იგივე სახელმწიფოს, კერძოდ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით შეძლეს სამი პროგრამის შემუშავება - ხალხური სიმღერის რეპეტიტორი, ქართული ცეკვის რეპეტიტორი და თექის მხატვრული დამუშავების ოსტატი. როგორც ბატონი ვახტანგი ამბობს, ეს არის სრულყოფისაკენ პირველი ნაბიჯი, ამჟამად მიმდინარეობს სპეციალურ საიტზე კიდევ ხუთი პროგრამის ატვირთვა, რომლებიც უფრო გრძელვადიანი მომზადების პროექტებია. სამომავლოდ სკოლაში მისულ ახალგაზრდას, ვისაც ქართული ფოლკლორი, ქართული შემოქმედება აინტერესებს, მიაწვდიან განათლების უწყვეტ ნაკადს, ანუ მოსწავლე სკოლაში ისწავლის გარკვეული პროგრამებით. მოგეხსენებათ, რომ აქაც აქვთ სასკოლო პროგრამა, მაგრამ იმ საგნებს და იმ დისციპლინებს სწავლობენ, რომლებიც 2019 წლიდან შეიტანეს სასწავლო პროგრამებში და ამდიდრებს ქართულ ხალხურ შემოქმედებას. ეს არის მენეჯმენტის საფუძვლები, მსახიობის ოსტატობა, მეტყველების კულტურა, ცეკვები - თანამედროვე, სამეჯლისო, სახასიათო და ასე შემდეგ.

- ჩვენი პროგრამებით შევძელით, რომ დღეს ქართულ შემოქმედებით ბაზარს, და ეს თამამად შემიძლია ვთქვა, კვალიფიციურ და დახვეწილ ადამიანებს ვაწვდით ანუ ვქმნით საკადრო რესურსს. ამ სკოლის მიზანი და მისია ისაა, რომ ანსამბლებში არ გაჩნდეს კვალიფიციური კადრების დეფიციტი. მოგეხსენებათ, ძალიან დიდი პრობლემებია ხალხური მუსიკის მიმართულებით - ხელმძღვანელების, შემსრულებლების. წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს, თავად ვიყავი დამსაქმებელი და ვიცი, რა პრობლემებს აწყდებიან, განსაკუთრებით მთაში მცხოვრები ადამიანები ამ თვალსაზრისით, ამიტომ ჩვენი თითოეული ნაბიჯი მიმართულია ამ პრობლემების აღმოფხვრისკენ. ვცდილობთ, ცენტრებს, რომლებსაც ეს სჭირდება, ამ საქმის პროფესიონალები მივაწოდოთ, ქართული კულტურის არამატერიალური ძეგლები განათლების მეშვეობითაც დავიცვათ, რადგან ამ მნიშვნელოვანი საგანძურის დაცვის ერთ-ერთი ფორმა განათლებაა. ახალგაზრდებში უნდა გადავიტანოთ, რაც მემკვიდრეობით მივიღეთ. ჩვენი - აწმყოში მყოფი ადამიანების ვალდებულებაა, სწორად, გააზრებულად და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებულად გადავცეთ ეს ახალგაზრდებს, რათა პროცესი გაგრძელდეს. ყველაფერი, რაც საქართველოში ამ მიმართულებით ხდება, დაფუძნებულია ქართულ ფოლკლორზე, ამიტომაა ამ დარგის განვითარება ასე მნიშვნელოვანი. განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ, რომ ჩვენი სკოლის მიმართ ყოველდღიურად იზრდება როგორც მორალური, ისე ფინანსური მხარდაჭერა. ახლა საუბარია ახალ შენობაზე, რომელიც „გოროდოკის“ დასახლებაში აიგება. მთლიანობაში, ჩვენი მიზანი და მისიაა, ის, რასაც სტუდიებში, ქუჩებში, სამოყვარულო დონეზე სწავლობენ ბავშვები, მათ შორის არცთუ ისე კარგად, სკოლაში დავხვეწოთ, ვისაც არსად უვლია, იმათ ნულიდან ვასწავლით და საბოლოო ჯამში ვიღებთ იმ პროდუქტს, რაც მაყურებელმა დღევანდელ კონცერტზე იხილა, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო ტრადიციული რეწვის განყოფილების პირველი და მეორე კურსის მოსწავლეთა ნამუშევრები - თექა, ნაქარგობა, მაკრამე, ქსოვის ნიმუშები, როგორც ჩხირით, ისე ყაისნაღით შესრულებული, სამოსი ქართული ორნამენტებით, ასევე, სამოსის ესკიზები. როგორც აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის ტრადიციული რეწვის განყოფილების ხელმძღვანელმა მზია ბუიღლიშვილმა გვითხრა, სკოლაში გააცოცხლეს მივიწყებული მაკრამე და გამოფენაზე მაკრამეთი დამზადებული მშვენიერი ჭაღი გამოფინეს.

საღამო გახსნა მსახიობმა ზურაბ ცინცქილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა იყოს ასეთი სასწავლებლები, რათა ყველამ იცოდეს, რა კულტურის მატარებლები ვართ.

- ბედნიერები ხართ, რომ შესანიშნავი პედაგოგები გყავთ. რამდენიმე დღის წინ გადავწყვიტეთ, რომ ფოლკლორისტ ედიშერ გარაყანიძეს, რომელმაც აჭარა ბავშვებთან ერთად შემოიარა, ბევრი რამ გააკეთა ქართული საგანძურის მოძიება-შენახვისათვის, ერთი საღამო მივუძღვნათ. იგი ოჯახთან ერთად დაიღუპა, რითაც დიდი დანაკლისი განიცადა იმ ხელოვნებამ, რასაც თქვენ ამ სკოლაში სწავლობთ. მადლობა ბატონ ვახტანგს, რომელიც უნარიანად უძღვება სკოლას, - აღნიშნა ზურაბ ცინცქილაძემ და ზურაბ გორგილაძის „ოჭოი, ნანა“ წაიკითხა.

სცენა დაეთმო მოცეკვავეებსა და მომღერლებს, რომლებიც მოამზადა არაერთმა პედაგოგმა, მათ შორის, ქორეოგრაფებმა: შალვა გოგუაძემ, მირანდა ბაღდადიშვილმა, დავით კოპალეიშვილმა, სოფო კუპრაძემ, ალექსანდრე მელუამ, გიორგი გოგიშვილმა, ხალხური მუსიკა გიორგი ჩხარტიშვილმა და ეთერ დარჩიძემ შეასწავლეს, გალობა - ინგა ბექაიამ. ღონისძიების რეჟისორი იყო სესე მიქავა.

- არა მარტო რეგიონისთვის, არამედ ქვეყნისთვის საჭირო სკოლაა, რომელსაც ყოველთვის მაღალზე აქვს თამასა, პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი. ამ სკოლის ნამუშევრის წარდგენა ყოველთვის გვეამაყება, მისი აღზრდილები კი ნებისმიერ სცენას დაამშვენებენ, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.



- პირველი ნაბიჯები სკოლის შემდეგ სწორედ აქ გადავდგი, მაშინდელ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. კონცერტმა სტუდენტობის წლები გამახსენა. მაშინაც და ახლაც აქ იღვწიან ენთუზიასტი ადამიანები და შედეგიც სახეზეა. ასეთ ბავშვებზეც არ დაგენანება კარგის თქმა. მიხარია, რომ აჭარაში როგორც ბავშვთა, ისე უფროსების ქორეოგრაფია ძალიან მაღალ დონეზეა. სამი სახელმწიფო ანსამბლი ჰყავს რეგიონს, არა მხოლოდ აჭარის, სრულიად საქართველოს სავიზიტო ბარათი. მათ ნიჭიერი ქორეოგრაფები უდგათ სათავეში და მოცეკვავეებიც შესანიშნავები არიან. მომავალი ქორეოგრაფები რომ იზრდებიან ამ სკოლაში, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. სკოლას საოცარი ადამიანი ხელმძღვანელობს, კარგი მენეჯერი და კარგი ხელოვანი, ამას ყველა პედაგოგი აღნიშნავს. მე, როგორც ქორეოგრაფი, ხაზს გავუსვამ შალვა გოგუაძის და მირანდა ბაღდადიშვილის მიერ პროფესიულად დადგმულ ცეკვებს, რომელთაც ქორეოგრაფიის ნიმუში შეიძლება უწოდო. ძალიან მაღალი დონეა, საინტერესო რეჟისორული გადაწყვეტით, რომელიც თანამედროვეობისკენ მიდის, მაგრამ არ კარგავს თავის ფესვებს, ავთენტურობას. ამიტომაც მიიღო ასე გულწრფელად მაყურებელმა. თანამედროვე ცეკვებიც ბრწყინვალე იყო. დღევანდელი დღე, ვფიქრობ, ყველას უნდა მივულოცოთ, რასაც სიამოვნებით გავაკეთებ, - თქვა ჩვენთან საუბარში ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატმა, ღირსების ორდენის კავალერმა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა, ქორეოლოგმა უჩა დვალიშვილმა..

თავისუფალ დროს შექმნილი ხელოვნების ნიმუშები

მე-7 გვერდიდან

მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრების დიდი დამსახურებაა, რომ მაია დღეს მოტივირებულია, შექმნას გაცილებით მეტი და საინტერესო ნამუშევარი. ხელოვანის თქმით, საყვარელი ადამიანების გარდა ბუნებაც შთააგონებს ახალი იდეების განხორციელებაში. „შეუძლებელია ისეთ გარემოში, სადაც მე ვცხოვრობ, აი, ამ ლამაზ სოფელში, სადაც მთისა და ზღვის ხედებით ტკბები, დაგროვილი ემოციისა და სურვილების შეკავება, ეს აუცილებლად უნდა გამოხატო, გადაიტანო პოეზიაში, მხატვრობაში, მუსიკაში, მე კი ხის ფიცარზე ჩემივე ფანტაზიით დახატულ სილუეტს სხვადასხვა ფერი შევძინე. თუ ბუნებით ცოტა შემოქმედიც ხარ, მაშინ აუცილებლად გამოგივა რაღაც განსხვავებული და შენეულს გააკეთებ, - ამბობს ხელოვანი.



გული მხოლოდ ერთ რამეზე წყდება - ხელოვნებას ყურადღება ნაკლებად ექცევა. იმ ხასიათის დანახვა, რასაც შემოქმედი თითოეულ ნამუშევარში დებს, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. მაია ამ ეტაპზე მხოლოდ სამოყვარულო დონეზე მუშაობს, აქამდე არცკი უფიქრია, ამის შესახებ ფართო საზოგადოებას გაეგო, თუმცა ახლა მისთვის ძვირფას, სულიდან წამოსულ, საგნებად ქცეულ სილამაზეს ბევრი გულშემატკივარი გაუჩნდა. იმედოვნებს, რომ სხვადასხვა პროექტშიც მიიღებს მონაწილეობას და კიდევ უფრო საინტერესო ნამუშევრებს შექმნის. მისი აზრით, ამით ახალგაზრდა, დამწყები ხელოვანები წახალისდებიან, თავიანთ ნიჭს გამოაგზრდა, დამწყები ხელოვანები წახალისდებიან, თავიანთ ნიჭს გამოამზეურებენ და ჩრდილქვეშ არ დარჩებიან.